

# ბორჯომის მუნიციპალიტეტი



## საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის მეშვეობით

ქ.ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის  
ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო-  
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>2</sup> მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანების საფუძველზე.

ქ. ბორჯომი 2014 წელი

1. თვითმმართველი ერთეული - ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5, ს/კ 226161961) აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების საკონკურსო წესით სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. კონკურსის მიზანს წარმოადგენს ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე არსებული (საკ/კოდი 64.23.03.238, 64.23.03.419) სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. სავარაუდო ფართობი 11300 მ<sup>2</sup>.
3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს – **5000 ლარს.**
4. საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>)
5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
  - ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკოლური ნომერი და თარიღი;
  - ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - გ) კონკურსის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
6. საკონკურსო განცხადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-4 და მე-5 პუნქტის დარღვევით წარმოდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.
8. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.
9. დოკუმენტების ან და ინფორმაციის უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
10. საკონკურსო წინადადების მიღება დაიწყება 2014 წლის 15 ოქტომბრის 9<sup>00</sup> საათზე;
11. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2014 წლის 15 ოქტომბრის 15<sup>00</sup> საათზე;
12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება (მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია) ერთ დალუქულ პაკეტით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარმოადგინონ 2014 წლის „15„ოქტომბრის 10<sup>00</sup> საათიდან 15<sup>00</sup> საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, მესხეთის ქ. #5; ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური.

13. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.
14. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.
15. კონკურსანტმა საკონკურსო დოკუმენტაციის სახით უნდა წარმოადგინოს:
- ა) საკონკურსო წინადადების ფასი.
  - ბ) ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილი არქიტექტურული კონცეპცია-ესკიზები (მათ შორის სიტუაციური გეგმა, ტერიტორიის კეთილმოწყობის არქიტექტურული გადაწყვეტა, სივრცითი დაგეგმარება, რენდერები და ფოტომონტაჟი და სხვა) ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი, ელექტრონული ფაილით PDF ფორმატში, რომელიც იქნება როგორც ვიზუალური ისე ფუნქციონალური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი, შესრულებული არსებული სიტუაციის გათვალისწინებით;
  - გ) ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადის შესახებ.
  - ზ) ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ.
  - თ) რეკვიზიტები.
16. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.
17. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შეყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები;
18. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:
- არქიტექტურული კონცეპცია და ესკიზი: კოეფიციენტი \_ 0,7
  - საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფისიენტი – 0,3
  - შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით.
  - კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. (ქულათა თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა).
19. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში სრული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.
20. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები მოდელსა და ესკიზებში.

21. გამარჯვებულმა კონკურსანტმა სახელშეკრულებო ვადაში უნდა წარმოადგინოს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არქიტექტურული პროექტის ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად.
22. წარმოდგენილ სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას 3 ეგზემპლიარად ნაბეჭდი A3 ფორმატით ფერადი და ელექტრონული ვერსია PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 6 მგბ-ს, ხოლო ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფაილით.
23. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/ და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.
24. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი მანია მახარაშვილი, მისამართი ქ. ბორჯომი მესხეთის ქ. #5, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახური, ტელ ( 367) 22 33 55 ; 22 44 99 (110);

## 2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1 კონკურსის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე (საკ/კოდი 64.23.03.238, 64.23.03.419) სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

2.2 ობიექტი მდებარეობს ბორჯომში მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რუსთაველის მოედნიდან ფალიაშვილის ძეგლის მიმდებარე სკვერის ჩათვლით. პროექტით უნდა იყოს გათვალისწინებული რუსთაველის მოედანზე არსებული ჭავჭავაძის ძეგლის გადატანა და არსებული სკვერის გაერთიანება ერთ კონცეპციაში. არსებული რეკრეაციული ზონების მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული სავალი ნაწილის (ტროტუარის) რეაბილიტაცია, ბილიკების და გაზონების მოწყობა, სკვერისა და სავალი ნაწილის პროფილის გასწორება შემასწორებელი ფენით საჭიროების შემთხვევაში, მდინარის ნაპირსამაგრი კედლის მოპირკეთების რეაბილიტაცია, სკვერის განათების რეაბილიტაცია, სკვერის გამწვანებება, სკვერში არსებული შენობების ფასადების რეაბილიტაცია და სხვა.

2.3 ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე არსებული სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოსი მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

2.4 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს:

1. არქიტექტურული პროექტი (მათ შორის კონსტრუქციული ნაწილი საჭიროების შემთხვევაში);
2. ვიზუალიზაცია, ესკიზური პროექტი, რენდერენი;
3. სკვერის განათებისა და მინათების პროექტი;
4. ხარჯთაღრიცხვა;

2.5. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა უყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველ ხარჯი, საავტორო ზედამხედველობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და სტანარტებით.

2.6 მომსახურების გაწევის პერიოდში საპროექტო დავალებით გათვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

### 3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

#### ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ————— 2014 წ.

ერთის მხრივ ბორჯომის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გამგებელი დიმიტრი ყიფიანის სახით და მეორეს მხრივ ————— წარმომადგენელი ————— სახით, (შემდგომში „მიწოდებელი“) კონკურსის საშუალებით დებენ ინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შემდეგზე:

#### 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

#### 2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. ბორჯომში ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე მდებარე სკვერის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საპროექტი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.
- 2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

#### 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ————— ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

#### 4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება

- 4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან;
- 4.2 ყველა გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 4.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამსახური.

#### 5. მომსახურების გაწევის ვადები

- 5.1 მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე დადასრულებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის ვადაში.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. „შემსყიდველი“ გაწეული მომსახურების მიღებას მოახდენს მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

## 7. ანგარიშსწორება და ვალუტა

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის აღგილობრივი ბიუჯეტიდან, მიზნობრივად გამოყოფილი თანხების შესაბამისად, რისთვისაც მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე;

7.2. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალურაში.

7.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად გაწეული მომსახურების მიღება ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

## 8. ფასები

8.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასები არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებულ ფასებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია, თუკი ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები. გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ხელშეკრულების შესრულების პროცესში დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებული პირობები არ აკმაყოფილებს თანამედროვე პროგრესულ მოთხოვნებს და ორივე მხარემ გამოთქვა თანხმობა და სურვილი შეიტანონ სათანადო შესწორება ხელშეკრულების პირობებში.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწვევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

12.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

12.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

### **13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

### **14. ხელშეკრულების შეწყვეტა**

14.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

### **15. დაუძლეველი ძალა**

15.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებლის შეუძლებლობის შესახებ;

15.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ვ მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

15.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### **16. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავგარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინდეს წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

### **17. გამოყენებული სამართალი**

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

### **18. ხელშეკრულების ენა**

18.1. ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი



მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

### 19. შეტყობინება

19.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

### 20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

### 21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

21.1. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს და განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის \_\_\_\_\_ ჩათვლით

21.2. ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 3 (სამი) პირი შემსყიდველთან.

**შემსყიდველი:**

**მიმწოდებელი:**



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882011145039 - 30/03/2011 16:00:35

მომზადების თარიღი  
05/04/2011 18:00:41

### საკუთრების განყოფილება

ზონა ბორჯომი	სექტორი ქ. ბორჯომი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიპი: საკუთრება
64	23	03	238	ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო საშენობო დაზუსტებული ფართობი: 3874.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:

მისამართი: ქალაქი ბორჯომი, ქუჩა რუსთაველი, (სკვერი)

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011145039 , თარიღი 30/03/2011 16:00:35  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 05/04/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N231 , დამოწმების თარიღი: 25/03/2011 , ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრები:  
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრე:  
ბორჯომის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

### იპოთეკა

სავადასახლო გირაონება:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყალბა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის




საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო  
საკადასტრო ბეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:  
ბანცხადების რეგისტრაციის ნომერი:  
მიწის ნაკვეთის ფართობი:  
დანიშნულება:  
კატეგორია:  
მომხსადების თარიღი:

64 23 03 238  
882011145039  
3874 კვ.მ.  
არასასოფლო-სამეურნეო

31.03.11



მასშტაბი: 1:1,500 0 4.5 9 18 27 მტრ



### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882014321887 - 20/06/2014 12:34:09

მომზადების თარიღი  
26/06/2014 10:48:08

### საკუთრების განყოფილება

ზონა ბორჯომი	სექტორი ქ. ბორჯომი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
64	23	03	419	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 5191.00 კვ.მ ნაკვეთის წინა ნომერი: 64.23.03.308;

მისამართი: ქალაქი ბორჯომი, რუსთაველის მოედნის მიმდებარედ

### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014302665 , თარიღი 11/06/2014 13:42:31  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 19/06/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მომართვა N704 , დამოწმების თარიღი:14/06/2011 , ბორჯომის მუნიციპალიტეტი
- მომართვა N233 , დამოწმების თარიღი:24/03/2011 , ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- მომართვა N1203 , დამოწმების თარიღი:18/06/2014 , ბორჯომის მუნიციპალიტეტი
- მომართვა N1087 , დამოწმების თარიღი:04/06/2014 , ბორჯომის მუნიციპალიტეტი
- მომართვა N2493 , დამოწმების თარიღი:26/12/2011 , ბორჯომის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრები:  
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრე:  
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო

აღწერა:

### იპოთეკა

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

### ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
 საკადასტრო ბუბმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:  
 განცხადების რეგისტრაციის ნომერი:  
 მიწის ნაკვეთის ფართობი:  
 დანიშნულება:  
 კატეგორია:  
 ეროვნული ტერიტორია:

64 23 03 419  
 882014321887  
 5191 კვ.მ.

არასასოფლო-სამეურნეო

23.06.2014



მასშტაბი: 1:2,000



შენიშვნა-ჩვენებები:  
 პირდაპირი ნიშნის/ხარისხიანი ნიშნის



ფაქტობრივი საზღვარი



სასაზღვრო საზღვარი



საზღვრო საზღვარი

N  
**სოფლისკომპლექსი ბებრას**



N	შპს-ის მფლობელი	საპარტნიორო მფლობელი
1	16 ძველი	64.23.01.161
2	793 ძველი	
3	534 ძველი	64.23.01.160
4	5206 ძველი	64.23.03.308
5	3874 ძველი	64.23.03.238

საპარტნიორო შპს-ების რაოდენობა 10550 338

Coordinate System: WGS1984 UTM Zone38N